

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ორეიდინგეიუ საქართველო

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

საქმიანობის შედეგი		
	იან-თებ 2023	განმარტება
ნეტო ამონაგები	5 751 884	3ა
საქონლის გაყიდვიდან	–	
მომსახურების გაწევიდან	5 751 884	
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	–	
სხვა	593	
გაყიდვების თვითღირებულება	–	
საწყისი მარაგები	–	
მარაგების შესყიდვა	–	
გადამუშავების დანახარჯები	–	
საშოლოო მარაგები	–	
ხაერტო მოგება	5 752 478	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	–	
დასაქმებულთა ანაზღაურება	4 472 692	
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	7 945	7
საპროცენტო შემოსავალი	–	
საპროცენტო ხარჯი	–	
ოჯარის ხარჯი	161 932	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	361 200	
ხელ ხაიპერადიო ხარჯები	5 003 768	3ბ
ხაიპერადიო მოგება	748 709	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	–	
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	–	
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	–	
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	–	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(19 612)	4
მიღებული დივიდენდები	–	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	–	
მოგება / (ზარალი) მოგების გადახადის ხარჯამდე განგრძობითი მოგება	729 097	
მოგების გადასახადის ხარჯი	–	
ხანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	–	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	–	
მორითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასება	–	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მკვამირე საწარმოების უმრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	–	
სხვა ხრული შემოხვადი / (ზარალი), ხელ:	–	
მთლიანი ხრული შემოხვადი / (ზარალი)	–	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	–	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	–	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	–	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	–	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	–	
საკუთარი კაპიტალი ხანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	729 097	

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
თრეიდინგვილ საქართველო

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ფინანსური მდგომარეობა		
აქტივები	იან-თებ 2023	განმარტვები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	258 575	5
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 800	
სხვა პირებზე ავანსებამ და სესხებამ გაცემული ფულადი სახსრები	101 139	6
მარაგები	—	
მზა პროდუქცია	—	
სხვა	—	
საინვესტიციო ქონება	—	
სხვა მოვლევადიანი აქტივები	—	
ბიოლოგიური აქტივები	—	
თვითღირებულების მოდელით	—	
გადაფასების მოდელით	—	
გუდვილი	—	
სხვა არამატერიალური აქტივები	—	
მირითადი საშუალებები	412 928	7
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში	—	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	—	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	284 637	6
სულ აქტივები	1059078.24	
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	—	
სავაჭრო ვალდებულებები	45 702	
ანარიცხები	—	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	37 324	
საგადასახადო ვალდებულებები	43 913	
გამოუმტყველებელი შემოსავალი	201 967	9
მოვლევადიანი ნასესხები სახსრები	—	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	—	
მიღებული გრანტები	—	
სხვა ვალდებულებები	1 074	
სულ ვალდებულებები	329980.57	
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში "კაპიტალი", კოოპერატივის შემთხვევაში	—	
საემისიო შემოსავალი	—	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	—	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	729 097	
გადაფასების რეზერვი	—	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	—	
სულ საკუთარი კაპიტალი	729097.26	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1059077.83	
სულ მოვლევადიანი აქტივები	381 513	
სულ მოვლევადიანი ვალდებულებები	329 981	

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
თრეიდინგვიუ საქართველო

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ფულადი სახსრების მოძრაობა		2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		679,447
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		-420,872
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		 258,575
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		 258,575

დადასტურებულია გამოსაქვეყნად 20.09.2024 წელს.

დირექტორი
ოლეგ მუხანოვ
ხელმოწერა



ბუღალტერი
მარიანა მხითარაძე
ხელმოწერა



2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თრეიდინგვიუ საქართველო“ საიდენტიფიკაციო კოდი: 404672519 (შემდგომში - კომპანია) რეგისტრირებულია 2023 წლის 19 აპრილს ხოლო სამეწარმეო საქმიანობა დაიწყო 2023 წლის სექტემბრის თვეში. კომპანიის 100,00 % წილის მფლობელი არის ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული იურიდიული პირი: TradingView, Inc (5319894). თრეიდინგვიუ საქართველო დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სფერო (NAEC 62090). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 129 თანამშრომელი. ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 20 სექტემბერს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე.

3. შემოსავლის და ხარჯის აღიარება.

ა) შემოსავლების აღიარება:

შემოსავლის ცნება მოიცავს ამონაგებსა და შემოსულობას: კომპანიის შემთხვევაში ამონაგები წარმოდგენილია კონტრაგენტისთვის მომსახურების გაწევიდან და შესაბამისი ინვოისის გამოწერის საფუძველზე აღიარებული ამონაგები.

შემოსულობა გულისხმობს სხვა მუხლებს, რომლებიც აკმაყოფილებს შემოსავლის განმარტებას, მაგრამ არ წარმოადგენს ამონაგებს.

ბ) ხარჯების აღიარება:

ხარჯების ცნება მოიცავს ისეთ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში - საოპერაციო ხარჯები; და ზარალს, რომელიც აკმაყოფილებს ხარჯების არს, მაგრამ არ მიეკუთვნება საწარმოს საოპერაციო ხარჯებს. კომპანია აღიარებს მათ

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცალკე მუხლად.

თანამშრომელთა ხარჯი - ხელფასები, ბონუსები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

კომპანია, სამუშაო მოტივაციის ასამაღლებლად, ანაზღაურებს თანამშრომელთა კვების, სხვადასხვა კულტურულ-გასართობ ღონისძიებების ხარჯებს, მათი აღიარება ხდება იმ საანგარიშო პერიოდში როდესაც მოხდა თანხის ანაზღაურება.

საოფისე იჯარა - იჯარა განიმართება როგორც ხელშეკრულება, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით, კონტრაქტით გათვალისწინებული იჯარის ვადის განმავლობაში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია, იჯარით გათვალისწინებული ხელშეკრულებით, დროებით განკარგულებაში ფლობს ერთ ობიექტს (თბილისი, გიორგი ლეონიძის 1111111); აღსანიშნავია, 2023 წლის ოქტომბრის თვეში კომპანიამ გააფორმა იჯარის ხელშეკრულება და 2024 წლის 1 იანვრიდან დაგეგმილია მისამართის ცვლილება და სამუშაო სივრცის გაფართოება.

2023 წლის ბოლოსთვის საოპერაციო ხარჯები გადანიწლდა შემდეგ ნაირად:

საოპერაციო ხარჯები:

თანამშრომელთა ხელფასი, დაზღვევა	4,472,691.69
ცვეთა და ამორტიზაცია	7,945.20
საოფისე იჯარა	161,931.80
კომუნიკაცია	2,744.94
კომუნალური ხარჯები	8,988.84
პროფესიონალური მომსახურება*	83,708.49
მცირეფასიანი ინვენტარი	13,960.75
ქონების გადასახადი	1,546.25
თანამშრომლების არამონეტარული სარგებელი (კვება, კულტ. ღონისძიებები)	230,509.45
ადმინისტრაციული ხარჯები	19,741.07
ჯამი:	5,003,768.48

* პროფესიული მომსახურება მოიცავს იურიდიულ მომსახურებას - 82,583.19 ლარის ოდენობით.

4. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით

წარმოქმნილი საკუროსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შემოსავლის ან ზარალის სახით.

კურსთა შორის სხვაობის წმინდა შემოსავალი/(ზარალი) 2023 წლის:

კურსთა შორის სხვაობის მოგება	1,463.50
კურსთა შორის სხვაობის ზარალი	(21,075.33)
სულ:	(19,611.83)

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023
ფული საღაროში	0
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	258,574.70

ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

6. სხვა პირებზე ავანსებად გაცემული თანხები

ავანსებად გაცემულ თანხებში მოცემული ავანსები სავაჭრო ურთიერთობიდან გამომდინარე და საიჯარო ავანსები. მათი გადანაწილები შემდეგი ხასიათისაა:

მოკლევადიანი (1 წელზე ნაკლები პერიოდის)

წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება - 37,432.08 ლარი

(აქედან იჯარის ფართის კეთილმოწყობის ღირებულება - 33,469.11 ლარი)

წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა - 63,706.57 ლარი

გრძელვადიანი (1 წელზე მეტი პერიოდის)

წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა - 284,637.24 ლარი

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: (ა) წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად იმყოფება კომპანიის მფლობელობაში/განკარგულებაში და გამოიყენება მომსახურების მისაწოდებლად, (ბ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, ამავდროულად მათი გამოყენება ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტ დროს მოიცავს, (გ) მათი თავდაპირველი ღირებულება (დღგ-ს გარეშე) აღემატება 300, 00 ლარს .

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თავდაპირველი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით. ყველა აქტივზე ცვეთის დარიცხვა, ღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, წარმოებს წრფივად. საოფისე აღჭურვილობაზე - წლიური 20%-იანი განაკვეთით, ავეჯი და სხვა ინვენტარი -20% სხვა დანარჩენი ძირითადი საშუალებები -15 % განაკვეთით. ცვეთა ერიცხება აქტივს, რომელიც უკვე შესულია ექსპლუატაციაში.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი შემოსავალი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის შემოსავლად ან ზარალად. 2023 წლის ბოლოსათვის კომპანიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები შემდეგ ნაირად გადანიჭილდა:

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ღირებულება	ლარი	ლარი	ლარი
2023 წლის 1 იანვარი	0	0	
2023 წლის მანძილზე			
შემენა	550	421255.05	421805.05
გასვლა	0	-932.2	-932.2
2023 წლის 31 დეკემბერი	550	420322.85	420872.85
დაგროვილი ცვეთა			
2023 წლის 1 იანვარი	0	0	0
წლიური ცვეთა	0	-7945.2	-7945.2
გასული მ/საშუალებების დაგროვილი ცვეთა	0	0	0
2023 წლის 31 დეკემბერი	0	-7945.2	-7945.2
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერი	550	412377.65	412927.65

8. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ნასესხები სახსრები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები.

9. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად განიხილებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორის კონტროლის შესაძლებლობა ან ერთ მხარეს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარის ფინანსურ თუ საოპერაციო

გადაწყვეტილებებზე. სავარაუდო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიის კონტრაგენტი წარმოადგენს მეკავშირე საწარმოს (დედა კომპანია). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მიღებული აქვს ავანსი - 201,967,20 ლარის (75,097,49 აშშ დოლარი) სახით, მეკავშირე საწარმოსგან.

ავანსის თანხის მომსახურების მიწოდება განხორციელდა 2023 წლის იანვრის თვეში.

10. მფლობელთა კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები.

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს დივიდენდი არ იყო გამოცხადებული/გაცემული, ხოლო საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 0 ტოლია.

11. რელევანტური გადასახადები.

კომპანია ნებაყოფლობით დარეგისტრირდა დღგ-ს გადამხდელად 2023 წლის ოქტომბრის თვეში. კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მისი მომსახურების გაწევის ადგილს (სსკ-ს 162 1, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ა“) არ წარმოადგენს საქართველო ამავედროულად მომსახურების მიმღები დასაბეგრი პირია (B2B), შესაბამისად მის მიერ გაწეული ძირითადი მომსახურება დღგ-თი არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახდით დასაბეგრი ოპერაციები 2023 წლის მანძილზე არ ყოფილა. კომპანიის მიერ 2023 წლის მანძილზე საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში გადახდილი თანხები შეადგინა: 930,795.91 ლარი. ქონების გადასახადი 2023 წლის ბოლოს შეადგინა: 1,546,25 ლარი.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.

2024 წლის 1 მარტიდან, საწარმოთა ჯგუფის შიგნით უნიფიკაციის და ერთგვაროვანი სტრუქტურის აგების მიზნით, ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმებში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად ძირითად საშუალებად აქტივის კლასიფიკაციისთვის მისი თავდაპირველი ღირებულება (დღგ-ს გარეშე) არ უნდა იყოს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
თრეიდინგვიუ საქართველო

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
1000,00 ლარზე

ნაკლები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ასევე მივაკუთნეთ საერთაშორისო სტატუსის
მოპოვება (2024 წლის ივლისის თვე), რაც კომპანიისთვის განვითარებისთვის და
გაფართოებისთვის დამატებითი სტიმულია.